პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
შაბათი
6 ივნისი
№ 132 (18074)
ფასი 2 კაპ.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ნათელი, მრავალფეროვანი, ლამაზი დღესასწაული ქართულ მიწა-წყალზე. დარბაისლური ზეიმურობითა და დაუოკებელი სიხარულით აღნიშნეს რესპუბლიკამ და მისმა კომპარტიამ თავიანთი მე-60 წლისთავის იუბილე. ზეიმურობა გამოიწვია განვლილი გზის სიდიადის, ჩვენი მიღწევების გრანდიოზულობის შეგნებამ, უდიდესი სიხარული კი იმან, რომ საქართველოში საქმე კარგად მიდის. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ უკვე ფრთოსანმა სიტყვებმა ფრთები შეგვასხა ყველას, მზიური საქართველოს ყოველ მშრომელს, რესპუბლიკისა, რომელმაც მტკიცედ შედგა ფეხი თავის მეშვიდე ათწლეულში.

ჩვენი ზეიმი და სიხარული გაიზიარეს უკიდეგანო საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა. რესპუბლიკის მშრომელთა დღესასწაული 15 მოძმე რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის დღესასწაული გახდა. ყველამ ვერ შეძლო ჩამოსულიყო ჩვენთან, სამაგიეროდ გულითადად მოგვესალმნენ და მოგვილოცეს ადრესებით, დეპეშებითა და წერილებით.

გვინდა გაგაცნოთ მათი შინაარსი და სულისკვეთება, რისთვისაც მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. აი პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის დეპეშა. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თანამემამულეები გვწერენ:

„დნეპროპეტროვსკის ოლქის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მაისის ამ ნათელ დღეებში მხურვალედ მოგესალმებით და გილოცავთ, ძვირფასო ქართველო ძმებო... ჩვენ დიდად ვაფასებთ ქართველი ხალხის თვალსაჩინო დამსახურებას დიდი ოქტომბრის საქმისათვის ბრძოლაში, აღტაცებული ვართ მისი გულადობით ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, ვამაყობთ სახელოვანი გამარჯვებებით კომუნიზმის მშენებლობაში, რასაც საქართველომ მიაღწია თავისი ნაცადი ავანგარდის —საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ეს გამარჯვებები შესაძლებელი გახდა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით.

შრომითი და სულიერი ძმობის მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ დნეპრისპირეთის მაღაროელებს, მეტალურგებს, მხვნელ-მთესველებს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების მშრომელებთან. ჩვენ კვლავაც შევეჯიბრებით, დავეხმარებით ერთმანეთს, დაუცხრომლად განვამტკიცებთ ერთიანი ოჯახის გრძნობას, როგორც ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების აუცილებელ საწინდარს. გულითადად ვუსურვებთ მზიური საქართველოს მშრომელებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ მიღწევებს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში“.

ასეთი გულთბილი მეგობრული დეპეშები და ადრესები გამოუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბევრი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის პარტიის საოლქო კომიტეტებმა და საოლქო აღმასკომებმა, პარტიის საქალაქო კომიტეტებმა და საქალაქო აღმასკომებმა, პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა.

იუბილარი რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებს მისასალმებელი დეპეშები გამოუგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ (ნ. ვ. გალიზინი), საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობამ (ვ. ს. ალხიმოვი) და სსრ კავშირის მშენბანკის გამგეობამ, სსრ კავშირის პროკურატურამ (ა. მ. რეკუნკოვი), სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ (ლ. ი. სმირნოვი). სსრ კავშირის სახმშენმა (ი. გ. ნოვიკოვი), სსრ კავშირის სახსტანდარტმა (ვ. ვ. ბოიკოვი), ცენტროსოიუზის გამგეობამ (ა. ა. სმირნოვი), სსრ კავშირის სამინისტრო ე ბ მ ა: თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრომ (პ. ვ. ფინოგენოვი), მსუბუქი მრეწველობის (ნ. ნ. ტარასოვი), ქიმიური მრეწველობის (ვ. ვ. ლისტოვი), ფერადი მეტალურგიის (პ. თ. ლომაკო), კვების მრეწველობის (ვ. პ. ლეონი), ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის (პ. ს. ნეპოროჟნი), მანქანათმშენებლობის (ვ. ვ. ბახირევი), სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების (ბ. ვ. ბაკინი), ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის (კ. ი. ბრეხოვი), სატრანსპორტო მშენებლობის (ი. დ. სოსნოვი), სამედიცინო მრეწველობის (ა. კ. მელნიჩენკო), რადიომრეწველობის (პ. ს. პლეშაკოვი), უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების (ვ. პ. ელიუტინი), ქვანახშირის მრეწველობის (ბ. თ. ბრატჩენკო), ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის (ს. ა. შალაევი), საშენ მასალათა მრეწველობის (ა. ი. იაშინი), ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის (ბ. ე. შჩერბინა), ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის (ბ. ვ. ბალმონტი), გაზის მრეწველობის (ვ. ა. დინკოვი), ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის (ვ. ს. ფიოდოროვი), გეოლოგიის (ე. დ. კოზლოვსკი), ელექტრონული მრეწველობის (ა. ი. შოკინი), ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის (ვ. ვ. კოტოვი), სასოფლო მშენებლობის (ს. დ. ხისტროვი) სამინისტროებმა; სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებმ ა: სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა (ლ. ი. ხიტრუნი), მეცნიერებისა და ტექნიკის (გ. ი. მარჩუკი), ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნების კონტროლის (ი. ა. იზრაელი), მატერიალური რესურსების (ა. ვ. კოვალენკო), საგარეოეკონომიკური ურთიერთობის (ს. ა. სკაჩკოვი), გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა (ი. ს. ნაიაშკოვი), შრომის და სოციალური საკითხების (ვ. გ. ლომონოსოვი), ფასების (ნ. ტ. გულშკოვმა) კომიტეტებმა, სსრ კავშირის მთავლოგმა (პ. კ. რომანოვი), სრულიად საკავშირო გაერთიანება „სუდოიმპორტმა“ (ო. ს. კროპოტოვი).

„საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს შრომაში და ოლქის ზურგის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ რ. გ. თავაძისა და რიგითი ტანკისტის ვლადიმერ ივანოვის დეპეშებში.

მეგობრობამ საზღვრები არ იცისო. ამ უკვე ჩვეულებრივად ქცეული ფრაზის სიმართლეში კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, როცა, იუბილარი რესპუბლიკისადმი მილოცვებს ვკითხულობთ. მოვიდა დეპეშა გერმანელთა კომუნისტური პარტიის საარის მხარის კომიტეტის თავმჯდომარის როლფ პრიმერისაგან, ოკეანის გაღმიდან მივიღეთ მისალმება ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ა. თ. დობრინინისა და ამ ქვეყანაში „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტის მ. გ. სტურუასაგან. შორეული განედებიდან ქართველ ხალხს მიულოცეს თბომავალ „თბილისისა“ და დიდი ავტონომიური ტრალერის „ივანე ზიმაკოვის“ ეკიპაჟებმა, სადაც კაპიტნის პირველი თანაშემწეა ბათუმელი გ. ფუტკარაძე.

საპატიო სტუმართა შორის იყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის, საბჭოთა კავშირის მარშლის, აწ განსვენებული ა. გელოვანის მეუღლე ქ. გელოვანი.

შინ, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ქ. გელოვანმა რედაქციას შემდეგი შინაარსის სამადლობელი წერილი გამოუგზავნა:

ხშირად მიხდება მშობლიურ თბილისში ყოფნა და ყოველთვის ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს პირველად ვიყო ამ ქალაქში. ამდენი სიახლე, ამდენი სილამაზე, ახალი მშენებლობანი თვალს იტაცებს და ხიბლავს თავისთავადი კოლორიტით, ძველის და თანამედროვეობის ასე მშვენიერი შერწყმით. განსაკუთრებით მომხიბლავი და განსაცვიფრებელი იყო თბილისი საიუბილეო დღეებში. იგი სტუმრებს წარუდგა როგორც ულამაზესი დედაქალაქი. ყველგან იგრძნობოდა სითბო, სიყვარული... მართალია, ზეიმისწინა დღეებში ამინდი წვიმიანი და მოღრუბლული იყო, მაგრამ დღესასწაულის დღეს თვით ბუნებამაც კი გაიხარა და აღლუმი თბილისის მზის სხივებით გააცისკროვნა...

კონსტიტუციის მოედანზე წარმოდგენილი სადღესასწაულო ცერემონიალი დაუვიწყარი იქნება თავისი ორიგინალობით და ლაღი ფანტაზიით.

ეს შთაბეჭდილება არა მარტო ჩემი, არამედ მოსკოვის დელეგაციის ყველა წევრისაც გახლავთ. ყველამ დიდად დაფასა ქართული სტუმართმოყვარეობა და გულთბილი მიღება.

ვსარგებლობ შემთხვევით, და მინდა წრფელი გულით ულრმესი მადლობა გადაუხადო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჩემი მონვევისათვის და ასე ლამაზად, განუმეორებლად და მაღალ დონეზე იუბილეს ორგანიზაციისათვის.

მილოცვების სადღესასწაულო სიმფონიაში განსაკუთრებით გამოირჩევა სამოცი წლის წინანდელი მოვლენების მონაწილეთა ხმები, როცა თბილისსა და მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა. ცხოვრებამ ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტა, მაგრამ ამ საიუბილეო დღეებში სულით და გულით ჩვენთან იყვნენ. ამის დადასტურებაა 1919 წლიდან სკკპ წევრის ოლღა პატარიძის დეპეშა კურსკიდან, ლეგენდარული მე-11 წითელი არმიის ყოფილი მებრძოლის ხარკოველი მათე კოზლოვის, ყოფილი ქართველი იატაკქვეშელი კომკავშირელის აკაკი კაცაძის დეპეშები. ირკუტსკიდან დეპეშა გამოგვიგზავნა 1917 წლიდან პარტიის წევრმა ვავილოვმა, ბუხარიდან — პარტიის ვეტერანმა რევაზოვმა... მოსკოვიდან მოგვილოცა მწერალმა ბორის ჩორნიმ, რომელიც დეპეშას ასე აწერს ხელს: მე-11 არმიის საჯავშნო ნაწილების მოხალისე, თბილისში გაზეთ „კრასნი ვოინში“ 1921 წელს გამოქვეყნებული მთელი რიგი ლექსების ავტორი“.

აი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც მოწმობს გმირული ისტორიის ღრმა კავშირს არანაკლებ შესანიშნავ თანამედროვეობასთან. სადგურ ფოილოს უფროსი იუსუბოვი კოლექტივის დავალებით წერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს. „ამ საზეიმო და სასიხარულო დღეებში... სადგურ ფოილოს კოლექტივი განსაკუთრებული ენთუზიაზმით კიდევ და კიდევ სწავლობს ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებშიც მოთხრობილია 1921 წელს ქართველი მენშევიკების მიერ აფეთქებული ფოილოს რკინიგზის ხიდის აღდგენის გმირული ისტორია. ჯერ კიდევ მაშინ ხიდის აღსადგენად ძალ-ღონის დაუზოგავად ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ აზერბაიჯანელები, ქართველები და მე-11 არმიის მეომრები, ხოლო აღდგენილ ხიდს ლენინის სახელობის მეგობრობის ხიდი ეწოდა. სწორედ ფოილოს ხიდის აღდგენის მეოხებით დიდი ოქტომბრის განთიადმა გააციცკროვნა მშვენიერი საქართველო... დაე, კიდევ უფრო განმტკიცდეს მეგობრობა ჩვენს მოძმე ხალხებს შორის“.

ხალხთა ლენინური მეგობრობით შედუღაბებული ჩვენი შესანიშნავი ქვეყნის ყველა კუთხეში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც შეუნელებელი ინტერესითა და უდიდესი კმაყოფილებით ადევნებენ თვალს ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს. ჩვენ მათ არ ვიცნობთ, მაგრამ მკითხველებს ისე ვუსახელებთ, როგორც თვითონ აწერენ ხელს თავიანთ დეპეშებს. ესენი არიან ორჯონიკიძელი ვენერა ლევჩუკ-ლევაძე, ლენინგრადელი ვიქტოროვების ოჯახი, კავკასიის დამცველი, ლენინგრადელი სერგი ედალინი, 1946 წლიდან სკკპ წევრი, სოფელ კუგალის მკვიდრი ნიზემბაევი, ალმა-ათის ავტომარმონტო გაერთიანების მთავარი ინჟინერი ბაუბეკოვი, ომის ვეტერანი, ერევნელი გრიგოლ ავეტისიანი, ვორკუტელი შრომის ვეტერანი ალექსანდრა გლებოვა, მოსკოველი პერსონალური პენსიონერი გიორგი ვარნიკიანი, ყოფილი პარტიზანი სიმონ კიკნაძე, რომელიც ირკუტსკის ოლქიდან გვიგზავნის დეპეშას. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 99-ე დივიზიის 345-ე საზენიტო-საარტილერიო ბატარეის ყოფილი კომორგი ზინაიდა გლოტოვა, 72-ე საშუალო სკოლის პირველი დირექტორი, სახალხო განათლების წარჩინებული, ამჟამად როსტოვის ოლქის კამენსკ-შახტინსკის მცხოვრები ვალენტინა ბუგაევა, შეპტარსკი სადგურ კაკესკაიადან, და ბოლოს, ჩეკურინების ოჯახი ქალაქ მოლოდეჩნოდან, რომლის დეპეშითაც გვინდა დავამთავროთ იუბილარი რესპუბლიკის მილოცვების მიმოხილვა.

„ვუყურე საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ მთელ თქვენს და ჩვენს დღესასწაულს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩვენი ოჯახი მთელ ქართველ ხალხს უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შრომითს წარმატებებს. დაე, იბედნიეროს და იხაროს საქართველომ!“.

(საქინფორმი).

ᲒᲣᲚᲘᲗ

ᲜᲐᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲕᲘ



მისალმებათა ნაკადი იუბილარი რესპუბლიკისადმი

ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ

თათბირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამშენებლო ტრესტების ამოცანებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 თებერვლის იმ დადგენილების შესრულებაში, რომლითაც დამტკიცდა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ახალი დებულებები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროების, უწყებების საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების ხელმძღვანელები, იუნიდიული სამსახურების და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილე ვ. ო. კულიკოვი. თავის გამოსვლაში მან დეტალურად გააანალიზა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მდგომარეობა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად, მიაპყრო თათბირის მონაწილეთა ყურადღება იმას, რომ უნდა სრულდებოდეს დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციის მიწოდების დავალებები და ვალდებულებები, სახელმწიფო დისციპლინა. თოთხოვნები.

საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულება დაწვრილებით გაანუკა სსრ კავშირის სახმომარაგების სახელშეკრულებო- სამართლებრივი განყოფილების უფროსმა ლ. მ. შორმა.

(საქინფორმი).

ᲥᲕᲔᲛᲝᲥᲔᲓᲔᲚ ᲗᲐᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ

უსაზღვრო რომ გვქონდეს მეცხოველეობის პროდუქტები, საჭიროა ყველგან შევქმნათ პირუტყვის საკვების სამყოფი მარაგი!

ᲞᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (სპეც კორ. გ. ნოდია). რაიონის მევენახეებს, მეცხოველეებს, მებოსტნეებს, მხვნელ-მთესველებს არა ერთხელ უსახელებით თავი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულების საქმეში. ასეა წელსაც. რაიონის მშრომელები თავდადებით იბრძვიან ახალი მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

გურჯაანელმა მეცხოველეებმა და საკვებმომპოვებლებმა ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის კოლმეურნეობის მეცხოველეთა და საკვებმომპოვებელთა თაოსნობას მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, მეთერთმეტე ხუთწლედის საკვების ხუთწლედად გადაქცევის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მინჯიაშვილმა საუბარში თქვა:

— ქვემოქედელთა მაგალითით ჩვენი რაიონის მეცხოველეებმა და საკვებმომპოვებლებმა ვალდებულება იკისრეს წლეულს მეტი უხეში და წვნიანი საკვები დაბრძოლის ხარკოველი მათე კოზლოვის, ყოფილი ქართველი იატაკქვეშელი კომკავშირელის აკაკი კაცაძის დეპეშა გამოგვიგზავნა 1917 წლიდან პარტიის წევრმა ვავილოვმა, ბუხარიდან — პარტიის ვეტერანმა რევაზოვმა... მოსკოვიდან მოგვილოცა მწერალმა ბორის ჩორნიმ, რომელიც დეპეშას ასე აწერს ხელს: მე-11 არმიის საჯავშნო ნაწილების მოხალისე, თბილისში გაზეთ „კრასნი ვოინში“ 1921 წელს გამოქვეყნებული მთელი რიგი ლექსების ავტორი“.

აი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც მოწმობს გმირული ისტორიის ღრმა კავშირს არანაკლებ შესანიშნავ თანამედროვეობასთან. სადგურ ფოილოს უფროსი იუსუბოვი კოლექტივის დავალებით წერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს. „ამ საზეიმო და სასიხარულო დღეებში... სადგურ ფოილოს კოლექტივი განსაკუთრებული ენთუზიაზმით კიდევ და კიდევ სწავლობს ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებშიც მოთხრობილია 1921 წელს ქართველი მენშევიკების მიერ აფეთქებული ფოილოს რკინიგზის ხიდის აღდგენის გმირული ისტორია. ჯერ კიდევ მაშინ ხიდის აღსადგენად ძალ-ღონის დაუზოგავად ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ აზერბაიჯანელები, ქართველები და მე-11 არმიის მეომრები, ხოლო აღდგენილ ხიდს ლენინის სახელობის მეგობრობის ხიდი ეწოდა. სწორედ ფოილოს ხიდის აღდგენის მეოხებით დიდი ოქტომბრის განთიადმა გააციცკროვნა მშვენიერი საქართველო... დაე, კიდევ უფრო განმტკიცდეს მეგობრობა ჩვენს მოძმე ხალხებს შორის“.

ᲤᲝᲗᲝᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲚᲘᲡ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲭᲣᲠᲗᲣᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ № 1 ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲨᲘ. ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲘ Ო. ᲗᲔᲭᲭᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲢᲝᲚᲡᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲓᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲮᲘ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ. ᲘᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.

Ж. ᲚᲝᲛᲝᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ „ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡᲚᲔᲡᲬᲧᲝᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲝᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲝᲗ. ᲐᲛᲘᲗᲝᲗᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ-ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲖᲔ: ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ „ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡᲚᲔᲡᲬᲧᲝᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝ.
Ბ. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲚᲔᲣᲚᲡ ᲛᲔᲢᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ

ამზადონ, ვიდრე შარშან. ასევე, შარშანდელთან შედარებით გაზარდონ ხორცის, რძის, მატყლის და კვერცხის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ახლა რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სენაჟის ჩადება, უკვე ჩადებულია 15 ათას ტონაზე მეტი. წლევანდელმა ავდრიანმა გაზაფხულმა ერთობ დაადგიანა ერთწლოვანი კულტურების დამუშავება. ხელი ეშლებოდათ თიბვაშიც. საკვებმომპოვებლები ჩქარობენ და მაქსიმალურად იყენებენ ყოველ დარიან დღეს. ახლა რაიონში დღეში 1.500-1.800 ტონა სენაჟს დებენ.

ამ მხრივ აღსანიშნავია მეცხოველეობის რაიონული გაერთიანების, ვეჟინის საბჭოთა მეურნეობის, ჩუმლაყისა და ჭანდრის კოლმეურნეობების მშრომელთა გარჯა. ჭანდრის კოლმეურნეობამ დღემდე 1.300 ტონა მწვანე მასა დაასენაჟა, ჩუმლაყისამ — 1.000 ტონა. კარგი მაჩვენებლები აქვთ კალაურის, შრომის, ბაკურციხისა და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებს.

1.000 ჰექტარის ნაცვლად რაიონში 1.500 ჰექტარზე დათესება ნაწვერალი. სილოსის ჩადების გეგმას რაიონში 1,5-ჯერ გადააჭარბებენ, თივას დაამზადებენ 8.500 ტონას, უხეშ საკვებს სულ დაამზადებენ 50 ათას, ხოლო წვნიანს 30 ათას ტონაზე მეტს, რაც დაგეგმილს დიდად გადააჭარბებს. ასე რომ, 1981-1982 წლების გამოზამთრებისათვის თითოეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის 28 ცენტნერ საკვებ ერთეულს დაამზადებენ, რაც ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გადიდებული ვალდებულებების უთუო შესრულებას.

ქვემოქედელთა მაგალითით გურჯაანელი მეცხოველეები თავდადებით იბრძვიან მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის უზრუნველსაყოფად.

ᲡᲐᲣᲒᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პარტიათშორისი თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად, საქართველოში იმყოფება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ხორვატეთის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი მარიან კალანი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ვოეკოდინის კომუნისტთა კავშირის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი ვასა მილიჩი, სლოვენიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასრულებელი მდივანი ივანკა ვრხოვნაკი, ხორვატეთის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიის მდივანი ჟელკო ლონჩარი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ხალიდ პაშანოვიჩი. სტუმრებს ახლავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი გ. ს. სარკისიანცი.

5 ივნისს დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა. საუბრის დროს მან იუგოსლავ ამხანაგებს უამბო საქართველოში 60 საბჭოური წლის მანძილზე მომხდარი გრანდიოზული გარდაქმნების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის მშრომელებმა, თქვა ამბ. ანდრონიკაშვილმა, მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენთვის ისტორიული დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. საქართველოში მომხდარი პროგრესული გადაქმნები დიდად შეფასდა პარტიის XXVI ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში საიუბილეო ზეიმზე, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის როლს მშრომელთა ცხოვრების დონის ასამაღლებლად გამიზნული სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში.

ამხანაგმა მარიან კალაბამ დელეგაციის წევრთა სახელით გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, საინტერესო ნაამბობისათვის დღევანდელ საქართველოზე.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები მ. ზ. ბერიანიძე, ე. ა. სეხნიაშვილი, ო. შ. ქაჯაია და ლ. ი. ხაბურზანია.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია ეწვია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ საწარმოებს, ნახა ქართული კინოფილმები, დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნო ქალ

ხარისხის ორიენტირები

პარტიული ცხოვრება: ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები

ახლახან ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომისათვის ვამზადებდით საკითხს, თუ რა გზით გაგვეზარდა კვლავაც ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება. და უცებ მოულოდნელად წავაწყდით მთელი რიგი რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების წინააღმდეგობას, რომელიც, თუმცა აშკარად არ ყოფილა გამოხატული, მაგრამ საგრძნობი კი იყო. რატომ არ სურთ ხელმძღვანელებს იკისრონ გადიდებული დაძაბული ვალდებულებანი? ხომ არ „იიოლებენ ცხოვრებას“?

ყოველთვის ასე არ არის. საქმის გახლავთ, რომ რეზერვების ძიება სულ უფრო ძნელდება. მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობამ ათჯერ და მეტად გაზარდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება და ამ მაჩვენებლით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ჩვენს ქვეყანაში. წარმატება მიღწეულია პარტიული კომიტეტების, სამინისტროთა, გაერთიანებათა და საწარმოთა მუშაკების ძალების დიდი დაძაბვის ფასად. აქ ჩვენ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის არცთუ მცირე გამოცდილება გვაქვს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა და წარმატებით მოქმედებს ეფექტიანობისა და ხარისხის რესპუბლიკური კომისია. ანალოგიური კომისიები მუშაობენ პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან, აგრეთვე სამინისტროებში, საწარმოებში და მშენებლობებზე, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებში. პარტიის თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის და ზოგიერთ სხვა საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან შექმნილი კომისიები მძლავრ სტიმულს აძლევენ ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლას. უნარიანად არის ორგანიზებული ეს მუშაობა, მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. პარტიული კომიტეტი აქ დღენიადაგ აკონტროლებს ხარისხის კომისიის საქმიანობას, ყველაფერში მხარში უდგას მას. თავდაპირველად კარგად ვერ იყო „კაზ-608ვ“ სატვირთო ავტომობილის ხარისხის საქმე. პარტიულმა კომიტეტმა რამდენჯერმე განიხილა ეს საკითხი თავის სხდომებზე, აანალიზებდა მიზეზებს, სახავდა ღონისძიებებს და მკაცრად აკონტროლებდა მათს შესრულებას. და მიაღწია კიდეც მიზანს — ავტომობილს საპატიო ხუთკუთხედი მიენიჭა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული ეფექტიანობისა და ხარისხის რესპუბლიკური კომისია კოორდინაციას უწევს და წარმართავს ადგილობრივი კომისიების საქმიანობას, სწავლობს რეგიონების ხარისხის მდგომარეობას. მაგალითად, საფუძვლიანად იმსჯელეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული კომისიის თავმჯდომარის გ. ჩიგოგიძის ინფორმაციაზე. მოუსმინეს აგრეთვე გორისა და ფოთის საქალაქო კომიტეტებთან, ბორჯომის რაიკომთან არსებული კომისიების ხელმძღვანელებსა და სხვებს. დასახულ ღონისძიებებს დაუწესდა კონტროლი, ყოველთვიურად რესპუბლიკურ კომისიაში მოდის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ისინი.

არცთუ იშვიათად ყველაზე დიდ პრობლემებს რესპუბლიკური კომისიის წარდგენებით განიხილავენ ხოლმე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ან „რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომებზე. მაგალითად, ბიურომ თავის დროზე იმსჯელა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის საკითხზე. დაისახა დამატებითი ღონისძიებანი. და თუ გასული ხუთწლედის დამდეგს ასეთი სისტემები მხოლოდ ორ საწარმოში მოქმედებდა, ახლა ისინი 336 საწარმოშია.

პარტიული კომიტეტების მუყაითი და გამიზნული მუშაობა კარგ შედეგებს იძლევა. საპატიო ხუთკუთხედი მინაჩუქებული აქვს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციას — მანგანუმს, ფეროშენადნობებს, ლითონსაჭრელ და სახეხ ჩარხებს, ფოლადის მილებს, ელექტროძრავებსა და ბევრ სხვა ნაკეთობას. მათზე დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ხუთწლედის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა საექსპორტო პროდუქციის მოცულობა, ახლა 180 საწარმო გზავნის თავის ნაკეთობებს მსოფლიოს 80 ქვეყანაში.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაკეთდა, შეიქმნა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ის მუშაობის სისტემა. მაგრამ შემთხვევითი როდია, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიურო კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს, ხოლო მისი განხილვისას გამოითქვა შიში: პირველ კვარტალში ხუთკუთხედიანი პროდუქციის გამოშვება წინათ მიღწეულ დონეზე დაბალი აღმოჩნდა. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ამის მთავარი მიზეზი, რომ ზოგიერთი სამინისტრო და საწარმო უფრთხის გადიდებულ ვალდებულებებს. პირველი, იოლად მისაგები რეზერვები ამოიწურა. ახლა ახალი, სიღრმისეული რეზერვების ძიებაა საჭირო. ამის ნაცვლად რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმო ცდილობს შარშანდელ მოცულობაზე ნაკლებიც კი დაგვგმოს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

ასეთ მდგომარეობას კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ცხადია, ვერ დაეთანხმება. ამიტომ ბიუროომ დასახა გზები, როგორ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მოპოვებული პოზიციები, როგორ მივაღწიოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის და პროდუქციის ხარისხის შემდგომ ამაღლებას. სკკპ XXVI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო უწყებებიდან დაქსაქსულობის დაძლევას, დარგობრივი და ტერიტორიული მართვის და დაგეგმვის სწორ შეხამებას. ამ მიმართულებით რესპუბლიკაში გადაიდგა პირველი — ჯერჯერობით მხოლოდ პირველი, — მაგრამ დიდმნიშვნელოვანი და, ჩვენი აზრით, სწორი ნაბიჯები. ჩვენთან ინერგება პროდუქციის ხარისხის მართვის ტერიტორიული სისტემა.

სისტემა წარმოადგენს შეთანხმებული, მუდმივმოქმედი ორგანიზაციული, ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსს, რომლებიც მოიცავს რომელიმე ერთ რაიონში ყველა ქვეგანყოფის — დაწყებული საწარმოებით და დამთავრებული სამინისტროებით — ამოცანებს. ასეთი ტერიტორიული პროგრამების შემუშავებაში ჩაბმული არიან მეცნიერები, სამეურნეო მუშაკები, ხოლო შესრულების კონტროლი პარტიულმა კომიტეტებმა იკისრეს. მაღე ხარისხის მართვის ახალი სისტემები ამოქმედდება რესპუბლიკის ინდუსტრიის ცენტრებში — თბილისსა და ქუთაისში, თანდათანობით კი მათ ყველა ქალაქსა და რაიონში დაენერგავთ.

სასარგებლო ინიციატივა გამოიჩინეს მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის რესპუბლიკურმა სამინისტროებმა. ახლა ისინი მუშაობენ პროდუქციის ხარისხის მართვის დარგობრივი სისტემების პროექტებზე, რომლებმაც უნდა გაართიანონ მომიჯნავეთა მეცადინეობა. იმისათვის, რომ არ ეყოს სიჭრელე სისტემური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მეთოდიკაში, ყოველ დარგში გამოიყოფა საყრდენი, საბაზო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებზეც ორიენტაციას იღებს ყველა დანარჩენი.

პროდუქციის ხარისხის მართვის ტერიტორიული სისტემური მეთოდების დანერგვას მოჰყვა მეორე პრობლემა — დაგეგმილია სპეციალურად მომზადებული, მაღალკვალიფიციური კადრები. საკადრო პოლიტიკის გარდაქმნას მიეძღვნა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ სამეურნეო მუშაკებს შეასწავლონ, როგორ აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი. ამ უმნიშვნელოვანეს მუშაობაში ჩავაბით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ახლად შექმნილი სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი. არცთუ მცირე პრაქტიკულ დახმარებას უწევენ წარმოების მუშაკებს ხარისხის სახლები და კაბინეტები, რომლებიც სსრ კავშირის სახსტანდარტის რესპუბლიკურ სამმართველოს ექვემდებარებიან.

აქ, სადაც ყველაზე პასუხსაგები უბნები საიმედო და მცოდნე ადამიანებით განამტკიცეს, საქმე კარგად მიდის. კადრების აღზრდისა და განაწილებისათვის დიდ მუშაობას ეწევა, მაგალითად, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტი, რომელსაც ლ. ჯიქურიძე მეთაურობს. აქ გადაახალისეს ხარისხის კომისიის შემადგენლობა, განამტკიცეს იგი კომუნისტებით, შეუნელებელი კონტროლი დაუწესეს „ვლ-11“ ახალი მაგისტრალური ელმავლის გამოშვებას. და აი, დამსახურებული წარმატებაც — ამ დღეებში ლოკომოტივს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხს. თუ გასული ხუთწლედის დამდეგს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები 14 მილიონი მანეთის ხარისხისნიშნიან ნაწარმს უშვებდნენ, ახლა 300 მილიონი მანეთისას ამზადებენ. მაგრამ, სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნებს რომ ვითვალისწინებთ, ამოცანად ვისახავთ მასობრივი მოთხოვნის ყველა საქონელი მხოლოდ ხარისხის ნიშნით გამოვუშვათ. ეს იოლი არ არის, მით უმეტეს, რომ ყველაფერი როდია აქ ადგილობრივ ორგანოებზე დამოკიდებული. მაგალითად, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს იმყამად მოქმედი დებულების შესაბამისად, სახელმწიფო ხარისხის ნიშანზე უნდა წარადგინონ ყოველი ქსოვილი, რომელიც 50 პროცენტ შალს მაინც შეიცავს. მაგრამ თბილისის მაუდკამვოლის კომბინატი სულ 2,5 მილიონი მანეთის ასეთ ქსოვილს უშვებს — საერთო მოცულობის მეათედზე ნაკლებს. იტყობა, უნდა გადაისინჯოს ეს დებულება.

ამავე დროს ბევრი გამოუყენებელი რეზერვია ადგილებზეც. მთელ რიგ დარგებში ნელია პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემათა შემუშავებისა და დანერგვის ტემპი, პრობლემას აქ კამპანიურად, ზერელედ უდგებიან, არ აკონტროლებენ საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებას. საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის და ზოგიერთი სხვა სამინისტროს ათობით საწარმო საერთოდ ჯერ კიდევ არ შესდგომია პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების შემუშავებას. ხოლო „საქლვინომანქანის“, ოქტომბრის 50 წლის თავის სახელობის გაერთიანებებში, რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში სისტემები მხოლოდ ქაღალდზეა „დანერგილი“.

უამრავი საქმეა მშენებლობაში, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობაში. ბევრ საცხოვრებელ სახლს ვაგებთ, გვაქვს კარგად ნაშენი სახლებიც, მაგრამ ისინი სავალალო წესის გამონაკლისს შეადგენენ. ამიტომ სამშენებლო სამმართველოებისა და ტრესტების პარტიული ორგანიზაციების წინაშე დაისახა ამოცანა — აღმოფხვრან ხარვეზები, რომლებიც ყველას პირზე აკერია და ახალმოსახლეთა სამართლიან საყვედურს იწვევს.

